



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030468867002418

№ 04-209/ო

30 / მარტი / 2018 წ.

სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 7 აპრილის №
04-193/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამ(ებ)ის ფარგლებში განსახორციელებელი კონტროლის მიზნებისათვის, შემოწმების აქტის ფორმის დამტკიცებისა და მასზე ხელმოწერის უფლების განსაზღვრის შესახებ“ სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 7 აპრილის № 04-193/ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი პუნქტით დამტკიცებული ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამ(ებ)ით გათვალისწინებული კონტროლის ეტაპზე გასაფორმებელი შემოწმების აქტის (შემდგომში – აქტი) სანიმუშო ფორმა ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის სახით.

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ წინამდებარე ბრძანების საფუძველზე, სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 7 აპრილის № 04-193/ო ბრძანებით დამტკიცებული შემოწმების აქტის სანიმუშო ფორმას დამატა ქვემოთ მოყვანილი შინაარსის მე-18 პუნქტი და შესაბამისად, აქტის პუნქტების ნუმერაცია შეიცვალა საჭიროებისამებრ:

„18. განსაკუთრებული მითითება მიმწოდებლის საყურადღებოდ: აქტის გაცნობის შემდეგ, ადმინისტრაციული საჩივრის წარმოების მიზნებისათვის, მიმწოდებლის მხრიდან განმახორციელებელთან ისეთი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარდგენა, რომლის არარსებობის ან/და მიმწოდებელთან სათანადოდ დაუცველობის გამოც გამოყენებულია საჯარიმო სანქციები, შესაძლოა განხილულ იქნეს მოთხოვნის დაგვიანებით შესრულებად, განაპირობოს მიმწოდებლის პასუხისმგებლობა პროგრამის მე-19 მუხლის მე-18 პუნქტის საფუძველზე და შესაბამისად, აქტით განსაზღვრული პასუხისმგებლობის ცვლილება, მ.შ., მიმწოდებლის ფინანსური ვალდებულების გაზრდა.“

3. დაევალოს დირექტორის აპარატს (ნ. ჩანადირი), უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და მის საფუძველზე დამტკიცებული შემოწმების აქტის სანიმუშო ფორმის (კონსოლიდირებული ვერსია) სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge) განთავსება.

4. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა უზრუნველყოს აღნიშნული ბრძანებისა და მისი დანართის სააგენტოს სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულებისათვის გაგზავნა.

5. ბრძანების შესრულების კოორდინაცია განახორციელოს სააგენტოს კონტროლის დეპარტამენტმა (პ.

ცადიკიძე).

6. ამ ბრძანებით განხორციელებული ცვლილება გავრცელდეს მისი ამოქმედების დღიდან გაფორმებულ შემოწმების აქტებზე.

7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს სასარჩელო განცხადებით – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი N6), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი



თამაზ მოდუხაიძე